ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო სხდომის

ო ქ მ ი N-03

დ. ლენტეხი 27 . თებერვალი 2025წ.

მიმდინარე წლის 27 თებერვალს დღის 15 სთ-ზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ირაკლი ჭურასბედიანი და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მთვარისა ლიპარტელიანი.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის (შესყიდვების განყოფილების) ანგარიში 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების თაობაზე.**

   შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი ანგარიში. საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი დააფიქსირა კომისიის თავმჯდომარემ: აუცილებელია გაიშიფროს გამარტივებული შესყიდვები. კერძოდ გამარტივებული შესყიდვების ცხრილს ,,შესყიდვების საშუალების" გრაფის შემდეგ დაემატოს გრაფები: შემსრულებელი, შესყიდული საქონელი და ბოლო გრაფა იქნება ,,შენიშვნა". კომისიის წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ შენიშვნას.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა - კონსოლიდირებული ტენდერების ცხრილში სავარძლების, საბურავების, ზეთების, აკუმულატორის გრაფების მიხედვით მიეთითოს (ინფორმაციის სახით) თანამდებობის პირები და შესაბამისი ავტომანქნები. (როგორც საკრებულოს შემთხვევაში).

1. **კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საფინანსო სამსახურის (შესყიდვების განყოფილების) ანგარიშის რიგგარეშე სხდომაზე გატანის საკითხი.**

გადაწყვიტეს: საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის (შესყიდვების განყოფილების) ანგარიში 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების თაობაზე გატანილი იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე და ამავე დროს ეთხოვოს მერიის საფინანსო სამსახურს გაითვალისწინოს კომისიის შენიშვნები და უახლოეს პერიოდში დამატებით წარმოადგინოს დაზუსტებული მონაცემები, კერძოდ გამარტივებული შესყიდვების ცხრილს „შესყიდვების საშუალების" გრაფის შემდეგ დაამატოს გრაფები: შემსრულებელი, შესყიდული საქონელი და ბოლო გრაფა იქნება „შენიშვნა".

ამავე დროს კონსოლიდირებული ტენდერების ცხრილში სავარძლების, საბურავების, ზეთების, აკუმულატორის გრაფების მიხედვით მიეთითოს (ინფორმაციის სახით) თანამდებობის პირები და შესაბამისი ავტომანქნები. (როგორც საკრებულოს შემთხვევაში).

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა დასრულდა 17 საათსა და 30 წუთზე..

ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: /ლ. გუგავა/